მენეჯმენტის ეფექტიანობის კრიტერიუმები

გიორგი კიკალეიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: gkika2008@agruni.edu.ge

რეზიუმე

მართვის მეცნიერების ფორმირებამ და განვითარებამ თეორიულ ნაწილში საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია, თანამედროვე მენეჯმენტის პარადიგმები პროფესიონალ მენეჯერებს ყველა სამუშაოს მიმართულებით აძლევს რეკომენდაციებს, მაგრამ რამდენად ხდება მისი აღსრულება კონკრეტულ ბიზნესპროცესებში, რეკომენდაციებისა და კოგნიტური ცოდნის გამოყენებით რამდენადაა შესაძლებელი ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდა, სწორედ ესაა თემის ძირითადი საკვლევი ობიექტი.

საკვანძო სიტყვები:
1. ბიზნესი
2. ინდუსტრიული ეკონომიკა
3. ორგანიზაცია
4. მართვის მეცნიერება

ძირითადი ტექსტი

მენეჯმენტის სპეციალისტი, პიტერ დრუკერი[1] ბიზნესის პოსტულატებს შემდეგნაირად აყალიბებს:[2]

ბიზნეს ერთეული აწარმოებს არა პროდუქციას, არამედ ფასეულობებს, რომლებსაც ადამიანები ადამიანისთვის აწარმოებენ. ყველაზე საუკეთესო კონსტრუქციის ჩარხებიც კი უბრალოდ რკინის გროვა იქნებოდა, ვიდრე ისინი არ დაიწყებენ კლიენტისთვის განსაზღვრული ფასეულობების შექმნას;

ბიზნესსაწარმოში გამოყენებული გაზომვის საშუალებები რთულია (ფილოსოფიურიც კი). მისი ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა ფული, ერთდროულად უკიდურესად აბსტრაქტულიცაა;

ეკონომიკური საქმიანობა, ზომით არის ბიზნეს-ერთეულში არსებული ეკონომიკური რესურსის დაბანდება გაურკვეველ მომავალში. ეს რაღაცა ვალდებულებაა, რომელიც ეფუძნება მოლოდინს და არა ფაქტებს. აქ რისკი თამაშობს დიდ როლს, რომელზეც მიდის ბიზნესერთეულის ყველა თანამშრომელი, და არა მხოლოდ გენერალური მენეჯერი;

როგორც ბიზნესერთეულის შიგნით, ისე მის გარეთ, მუდმივად ხდება შეუბრუნებელი გარდაქმნები, რის შედეგადაც ბიზნესერთეული ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში, ცვლილებების ნამდვილ აგენტად იქცევა. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს მიზანმიმართული ევოლუციის შესაძლებლობა, რათა მიესადაგოს ახალ შეცვლილ პირობებს და მიზანმიმართულად განახლდეს.

დრუკერის წარმოდგენილი პოსტულატები, მთლიანობაში თავის მხრივ აყალიბებს შემდეგ პარადიგმებს: ორგანიზაციის მართვის პროცესის მიზანია ადამიანების საშუალებით შექმნას ადამიანისათის ფასეული ღირებულებები და ამავდროულად იგი მუდმივად ფეხს უწყობდეს საბაზრო მოთხოვნებს, იყოს განახლებადი ორგანიზმი.

დღეისათვის, თანამედროვე მენეჯმენტი ტრანსფორმაციის ეტაპზეა. თუ ერთი საუკუნის წინ ბიზნესი, ძირითად კონკურენტულ უპირატესობას ჰპოვებდა მძლავრი რესურსების მობილიზებაში, საწარმოო ძალების განახლებაში, დღეისათვის კონცენტრაცია დასაქმებული ადამიანის სამუშაოთი კმაყოფილებაზე და მისი მწარმოებლურობის ზრდაზეა. სწორედ აღნიშნული გახლავთ პროფესიონალი მენეჯერის ძირითადი მოვალეობა.

თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, დაქირავებული მენეჯერის ძირითადი მიზნებია: ერთის მხრივ კომპანიის სტრატეგიულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც თავის მხრივ გულისხმობს მენეჯმენტის დაგეგმვის ორგანიზებას, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას. მეცნიერ-ეკონომისტ დ. კარნეგის გამოკვლევებში მოცემულია ფაქტიური დადასტურება იმისა, რომ მენეჯერი თავისი სამუშაო დროის 85%- მდე უთმობს ადამიანებთან

[1] https://en.wikipedia.org/wiki/Peter_Drucker

[2] Питер Ф. Друкер, Менеджмент: задачи, обязанности, практика, М., 2008, с. 633, 639.

ურთიერთობას, აქედან გამომდინარე მენეჯერის საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია ადამიანური „ინჟინერიის" ხელოვნებაზე. ამიტომაა მენეჯმენტი უპირველესად ადამიანების

პერსონალი ნებისმიერი ორგანიზაციის საფუძველია, უმნიშვნელოვანესი რესურსია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის წარმატების უპირველესი გასაღები პერსონალის მართვაა, თავისი მასშტაბებით და მნიშვნელობით იგი არანაკლებია ტექნიკურ-ეკონომიკურ მენეჯმენტთან შედარებით. კადრების სწორად და მიზანმიმართულად მართვა ითვალისწინებს ორგანიზაციის უზრუნველყოფას მისთვის საჭირო რაოდენობის და ხარისხის პერსონალით, მათი ეფექტიან გამოყენებას, პროფესიონალური და სოციალური განვითარების ორგანიზაციას, რამაც უნდა უზრუნველყოს პერსონალის მოტივაციის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და საბოლოო ჯამში საწარმოს ეფექტიანობის გაზრდა აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მენეჯმენტის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პერსონალი, კადრების სწორად და გამიზნულად მართვა.

პერსონალის მართვაში, ერთ-ერთ გავრცელებულ შეცდომად მიიჩნევა მცდელობა იმისა, რომ კადრი „მოარგონ" პოზიციას და არა პირიქით. აღნიშნულის დემონსტრირებისთვის წარმოვადგენთ პრაქტიკულ მაგალითს, რომელიც ეხება მსოფლიოში ერთ-ერთ გავლენიან ორგანიზაციას „NASA"–ს.

NASA-მ დაიწყო კადრების შეგროვება კოსმოსური პროგრამა ერცურყ-სთვის, არჩეული იქნა შვიდი პრეტენდენტი, შვიდივეს ჰქონდა წარსულში სასარგებლო გამოცდილება– საომარი მფრინავების სახით. ორი წლის განმავლობაში ჯგუფი იძენდა კოსმოსში გასაფრენად აუცილებელ ცოდნას, მაგრამ როდესაც ასტრონავტები როგორც იქნა მოხვდნენ ორბიტაზე, აღმოჩნდა, რომ ისინი განსხვავებულად იქცეოდნენ, მიუხედავად მომზადების იდენტურობისა. მათი მოქმედებები ახალ გარემოში დაგეგმილისგან განსხვავებული იყო. ის, ვინც არჩევდა კანდიდატებს პროგრამისთვის, არ გაითვალისწინა ერთი აუცილებელი რამ – თითოეულის პირადი შესაძლებლობები. თითოეულ ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი შესაძლებლობების უნიკალური ნაკრები და ყველა განსხვავებულად რეაგირებს ერთნაირ სტიმულზე. მაგალითად, აფრენის დროს ერთ ასტრონავტს პულსი აუვარდა 150 დარტყმამდე, მაშინ როდესაც ნილ ამსტრონგის გულისცემა არასდროსარაღემატებოდა 80 დარტყმას, – მხოლოდ ესეც კი მიუთითებდა აღნიშნულ გართულებებზე.

წარმოდგენილი მაგალითიდან ვხედავთ, რომ მენეჯმენტის რეალიზაცია კადრების სწორად შერჩევა-გამოყენების კუთხით პრაქტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. ორგანიზაციის მართვის ძირითადი ამოცანა სწორედ კადრების ეფექტიანი მართვაა. მასზეა ძირითადად დამოკიდებული ორგანიზაციის ეფექტიანად მუშაობის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა ორგანიზაციის კონკრეტული მიზნებისა და მისიის განსაზღვრა, შრომის მწარმოებლურობის ზრდის თანამიმდევრულად უზრუნველყოფა, მუშაკთა მოტივაცია და ორიენტაცია მიღწევებზე, საზოგადოებაზე გავლენისა და სოციალური პასუხისმგებლობების მართვა.

ბიზნესის მენეჯმენტში პირველ ადგილზე დგას ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეფექტიანობის დონე მენეჯმენტის პირველი კრიტერიუმია. თუ კი ბიზნესმენეჯმენტს არ შეუძლია სამეურნეო სუბიექტის მზარდი ეკონომიკური შედეგების უზრუნველყოფა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არაეფექტიანია. მართვა ბიზნესში არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიანად, თუ კი იგი ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელს საჭირო საქონლით და მომსახურებით. მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს არსებული რესურსების, უპირველესად ადამიანური რესურსების რაციონალური განაწილება და გამოყენება, მათი პროდუქტიულობის ამაღლება, რაც წარმატების საწინდარი გახდება. ეს ნიშნავს იმას , რომ მენეჯმენტმა შრომა უნდა გახადოს პროდუქტიული, უფრო მაღალმწარმოებლური. სწორედ ეს არის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქცია და ეფექტიანობის კრიტერიუმი. იმისათვის რომ მუშაკებმა ეფექტიანად იმუშაონ, ისინი უნდა განიცდიდნენ კმაყოფილების გრძნობას დაკავებული თანამდებობით, მათ სჭირდებათ მოტივაციის, კუთვნილების გრძნობა, მატერიალური სტიმულირება, ლიდერობა, სტატუსი, ფუნქციები.

დასკვნა

მენეჯმენტის ამოცანაა საზოგადოებაზე სამეურნეო ობიექტის გავლენის და მისი სოციალური პასუხისმგებლობის მართვა. ყოველი საწარმო არის სოციალური ორგანო, რომელიც არსებობს საზოგადოებისათვის და მისი ინტერესებისათვის. თავისუფალი მეწარმეობა მომგებიანი უნდა იყოს არამარტო ბიზნესისათვის, მან ასევე სარგებლობა უნდა მოუტანოს საზოგადოებას. საზოგადოებაზე გავლენის მართვა არის მენეჯმენტის მესამე ძირითადი ამოცა-

ნა და მესამე ძირითადი კრიტერიუმი. ყველა ზემოთ აღნიშნული ამოცანა უნდა სრულდებოდეს პროფესიონალური საქმიანობის ჩარჩოებში ერთდროულად და მუდმივად, ვინაიდან ისინი ერთნაირად მნიშვნელოვანია და მოითხოვს დიდ კვალიფიკაციას და კომპეტენტციას. მართალია, ბიზნესის ეფექტიანობა ბიზნესსაწარმოს ის მთავარი ამოცანაა, რომლისთვისაც იგი შეიქმნა, მაგრამ თუ კი სამუშაოს და მუშაკებს არასწორად მართავენ, მაშინ არანაირ ეფექტიანობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ასეთი სიტუაცია იწვევს დანახარჯების გადიდებას იმ დონემდე, როდესაც საწარმო კარგავს კონკურენტუნარიანობას, ასე რომ მენეჯმენტის აღნიშნული სამი ამოცანიდან თითოეული თავისებურად პრიორიტეტულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Питер Ф. Друкер, Менеджмент: задачи, обязанности, практика, М., 2008, с. 633, 639.

2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ, 2011.

CRITERIA OF MANAGEMENT EFFECTIVENESS

GIORGI KIKALEISHVILI
PhD of GTU
E-mail: gkika2008@agruni.edu.ge

Summary

Formation of management as science and development in theoretical part of it reached very high level. Modern management paradigms gives usefull recommendations to professional managers in all directions. But how much is its execution in specific business processes? Using the recommendations and cognitive knowledge, is it possible to increase the efficiency of the organization? This is the main subject of the research.

Key words:
Bussines,
Industrial Economics,
Organization
Science of Management